№ 6

კვირა 9 იანვარი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 6

კვირა 9 იანვარი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 13 იანვარს, 1900 წ.

ბ ე ნ ე ფ ი ს ი

### კ. ს. მ ე ს ხ ი ს ა

მონაწილეობას მიიღებს ქ-ნი რენელი

წარმოდგენილი იქნება:

### ცოლის მორჯულება

პიესა 5 მოქმედებად ვ. შექსპირისა, თარგ. კ. ს. მესხის მიერ.

II

### ყვავები

ვოდევილი ერთ-მოქმედებად. თარგ. კ. გალუსტოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი, ტასო აბაშიძე, გარელი, აფხაზიშვილი და სხ. ბ.ბ. აბაშიძე, ყიფიანი, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

## ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი გაბრ. იოს.

### გოკიელოვი

იღებს ავადმყოფებს დილ. 9—12 ს., საღამ. 5—7 საათ.
ტფილისის ქუჩა, ლევან ქურთიშვილის სახლი, № 20.
(40—140—26)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 საღოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბებთაბეგოვი**—სიფილისისა, გარეგანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. საღოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროთერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმჰართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ).

## ე ქ ი მ ი

### კ. ი. გძელიშვილი

მ ი ი ღ ე ბ ს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით** ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.
(100—31—71)

## მთავრობის განკარგულებანი

—

ხელმწიფე იმპერატორმა ყოვლად მოწყალედ კეთილ ინება და უბოძა ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწეს, გენერალ-ლეიტენანტს ალექსანდრე ფრეზეს.

დაჯილდოვებულ იქმნენ: წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის ორდენით—განჯის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსი გიორგი ფხაკაძე; წმ. სტანისლავის 1 ხარისხის ორდენით—კავკასიის სამასწავლებლო ოლქის ინსპექტორი მიხეილ ზავადსკი და ტფილისის მეორე გიმნაზიის დირექტორი იოსებ დრბოგლავი; წმ. ანნას მე-2 ხარისხის ორდენით—ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის მასწავლებელი კონსტანტინე ლოლობერიძე და მასწავლებელი-ინსპექტორი ბათუმის საქალაქო სასწავლებლისა კონსტანტინე მაჭავარიანი; წმ. ანნას მე-3 ხარისხის ორდენით—თერგის ოლქის სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორი ალექსი ჰიჰინაძე, ტფილისის მესამე გიმნაზიის მასწავლებელი სიმონ ოცხელი, გუმბრის სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებელი კეთევან გორგასლიძე და ახალსენაკის ნორმალურ სასწავლებლის ზედამხედველი სპირიდონ ენუქიძე, წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის ორდენით—შტატს გარეშე მეოფი მასწავლებელი ტფილისის რკინის გზის საქალაქო სასწავლებლისა სერგეი მამალაძე, სიღნაღის საქალაქო სასწავლებლის შტატს გარეშე მეოფი მასწავლებელი ბენიამინ მირიანაშვილი და ერევნის სამასწავლებლო სემინარიის მასწავლებელი მიხეილ ზაალიშვილი; წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენით—ბაქოს ოლქის სასამართლოს წევრი თავ. ასლან გელოვანი; წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენით—უფროსი მიწის მზომელი ტფილისის სამოსამართლო პალატისა ივანე მახარაძე; წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის ორდენით—თე- [illegible] დველის თანამდებობის აღმასრულებელი გიორგი კონიაშვილი.

დანიშნულ იქმნა ბეჭდვით საქმეთა მთავარ სამმართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მოხელე—ნადვორნი სოვეტნიკი უმანეცი—კავკასიის საცენზურო კომიტეტის რუსულისა და ევროპიულ ენების უფროს ცენზორად.

დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან, თავისისავე თხოვნის თანახმად, კავკასიის საცენზურო კომიტეტის რუსული ...

## ფელეტონი

—

### ქართველთა შორის

„დღე იგი განგვეშორა
და ღამე შამოგვეახლა“.

სულ ინგლისელები და ბურები.—რატომ გვეხერხება საგარეო საქმეებზე საუბარი და გვავიწყდება საშინაო?—რას ვუქებთ ორ მებრძოლთ?—ჩვენებური საშინაო ბრძოლა.—ქალაქის უპირატესობა.—სოფლელთა საჩივარი.—სოფლის დაღარიბება და უმეცრება ერის უბედურებაა, გათახსირებაა.—ბოდიში საახალწლო ავ-ყიაობისათვის.

დღეს ხომ მთელს ქვეყანას ბურებისა და მათ მეთაურთა სახელი აკრავს ენაზედ; ინგლისელების მხედრობა, დამარცხებული გენერლები და ახლად გაგზავნილი რობერტსი და კიჩინერი, ტრანსვალი, კაპშტადი, ნატალი, საზოგადოდ „გლეხთა რესპუბლიკა“ გარდაქცეულა ათას ნაირ მსჯელობის საგნად, საერთო ყბად აღებულია.

ჩვენს ტფილისსა და ქუთაისშიაც რომ ეგევე იყოს სასაუბროდ, სადაოდ და, ჩვეულებისამებრ ჩვენისა, ხანდახან სადასდასოდ და თავის გასართობად, მეტადრე ამ სუსხიანს ზამთარში, საკვირველი არაფერია, რადგანაც საშინაო და საოჯახო საქმეების შესახებ მოაზრება, გულ-დამჯდარი, წრფელი მსჯელობა არ გვეხერხება და არ გვეხერხება უთუოდ იმიტომ-რომ, ქვეყნის ავადმყოფის არ იყოს, ვუფრთხით შინაურს საქმეებში ხელის რევასა და ფათურს, რათა ამ სნეულსავით, ასეთის ჩხრეკისა და თავის-თავის დაკვირვების გამო, სასოწარკვეთილებამ არ შეგვიპყრას.

დიაღ, ამ ცხრა მთის გადაღმა და ათის იმდენ ზღვის გაღმა გაჩაღებული ომიანობის შესახებ გვაქვს დიდი ბჭობა და კამათი, ხან და ხან სადავოთაც გადაგვექცევა ხოლმე. ვუქებთ ბურებს თავისუფლების მოყვარეობას, დამოუკიდებლობის სურვილსა და მამაცობას და ამავე დროს ჩვენში ვწიხლავთ და გვინდა გულის სიღრმიდგან აღმოვფხვრათ ყველა ის თვისება, რამაც ასეთი სული ჩაუდგა ბურებს. ვუქებთ ინგლისელებს აღმოსავლეთის კულტურულ მისსიონერობას და თან ვესაყვედურებით (ხუმრობა კიარაა ჩვენი საყვედური ინგლისელებისათვის!), რომ იმათ პოლიტიკაში ძალით ალმართის ხვნა იციანო. ამიტომაც გვგონია, რომ უთუოდ ბურებთან დამოკიდებულებაშიაც ამ გზას ადგენო, იმას აღარა ვკითხულობთ, ბურებსაც აქვთ რამე გადაცილებული ხალხთა შორის საურთიერთო ზნეობის კანონზედ თუ არა.

მაგრამ რა ნაირადაც უნდა ვბჭობდეთ, რა აზრიც უნდა გამოვთქვათ ამ ორის შეუფერებელ მებრძოლის შესახებ, არც ერთი არ არის საკვირველი, რადგანაც ეგ დროს გასატარებელი ლაყბობაა მხოლოდ, არა მკითხე მოამბეობაა, ჰინჰრაქა-ლობემძვრალის პასუხია: „როცა ზეცაში გრგვინვა-ქუხილია, ფეხებს მაღლა ვაშვერ, რათა ცის კამარა შევამაგრო და ქვეყანა წარღვნას გადავარჩინოვო“.

მაგრამ ამას თავი დავანებოთ და, რაც უნდა გვეხარებოდეს შინ შეხედვა, მაინც ჩვენი სახლია, თავისის კედელ-ყურის გვერდის ავლა ძნელი საქმეა, ამიტომ დღევანდელი ფელეტონით მოდის ჩვეულებას წინ უნდა აღვუდგეთ და მკითხველის ყურადღება, შორეულს ქვეყნისკენ გატაცებული, მახლობელ საგანზედ შევაჩეროთ, იმისს გონებით თვალს საოჯახო საქმეებისკენ მოვახედვინოთ.

ჩვენი ოჯახი, მოგეხსენებათ, ჩვენი სოფელი და ქალაქია და აი, ამათ შორის არის საშინაო ომი გაჩაღებული. ესენი ისეთივე ფალავნები არიან, როგორიც ინგლისელი და ბური. პირველი ყოველის მხრით უზრუნველ ყოფილი, შეიარაღებული, შემკული, გოლიათია, მეორეს-კი ხოლო თავ-განწირულების იმედი აქვს. ინგლისის უპირატესობას წრევანდელი ომი გამოაჩენს, თუ ბურებს გარეშე შემწე და მფარველი არ აღმოუჩნდა. ჩვენი გოლიათი ქალაქის უპირატესობას სოფელთან შედარებით, მისს გაბატონებას, მისს განცხრომითს ცხოვრებას და სოფლის ჭირსა და ვარამს, მისს სიღარიბეს, მისს უმწეობას ყოველ წლობით ზამთარი აღნიშნავს ხოლმე უტყუარად. მაგრამ ვინ არის გამკითხველი, სოფლის მწუხარებას ვინ გამოჰფენს!

მაშ სიტყვა სოფელს დავუთმოთ და თვით გვეტყვის მთლად და სანახევროდ თუ არა იდნად მაინც, რა მდგომარეობაშია იგი და რა საფუძვლიანის შურით შესცქერის თავისს ახალ ბატონს ქალაქს.

„დღე იგი განგვეშორა და ღამე შამოგვეახლა. ჩვენ იმ საიგაო დღისას არ მოგახსენებთ, რომელიც თვისის ცხოველ-მყოფელ სინათლით ცხოვრებას უფურჩქნის ადამიანს, ჩვენ ამ დღის პირის ბრუნებას და განშორებას როდი მივტირით უკან, რადგანაც უფრო მახლობელი ჰირი გვაქვს მოსათქმელი. და რომელი ბრიყვი იფიქრებს „გაფურჩქვნისათვის“ მაშინ, როცა მისი სიცოცხლე ბეწვზედ ჰკიდია, ვისა სცალიან ცხოვრების გაუმჯობესობისათვის იზრუნოს, როცა ყოველს წამს ყინვისაგან დაძვრას მოელი და, სიცოცხლის აყვავების წილ, შიში გაძაგძაგებს, ვაი თუ შიმშილმა სული ამომხადოსო.

„დიაღ, ვითარცა ბუნების ანაბარად მიგდებულნი და მისს ნებაზედ მოსიარულე და მისივე მოიმედე, იმ დღეს მივტირით უკან, რომელიც ჩვენის ძვლების გამთბობმა მზემ სამხრეთისკენ მიქცევისათანავე თანვე იხლო და ჩვენ ჩრდილოეთის უბნის სუსხსა და ნიავქარს შეგვატოვა ხელში. სოფლელთა მეტი ვინ იგრძნობს სტიქიონის ავს შედეგს! სხვა

სულისა და კეროზიულ ენების უფროსის ცენზორი—კოლეჟსკი სოვეტნიკი ნოფალი.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსია 3 თებერვალს წავა ქ. გორში საქმეების განსახილველად. სესსია გორში 15 თებერვლამდე დაჰყოფს. უნდა განიხილოს სულ 40 საქმე.

*** ტფილისის სამოსამართლო პალატაში 5 თებერვლისათვის განსახილველად არის დანიშნული ვ. ნ. პოლონსკაიასი და ნ. დ. გვარამაძის საქმე, რომელთაც მევახშეობა ჰბრალდებათ და ოლქის სასამართლომ გარდაუწყვიტა მათ ასტრახანის გუბერნიაში საცხოვრებლად გაგზავნა.

*** ქალაქის ინჟინერმა ბ-ნმა ალიბეგოვმა მოახსენა ქალაქის გამგეობას, რომ ტეხნიკები გავგზავნე კავკასიის სხვა და სხვა ადგილას იმის შესატყობათ, თუ სად როგორი ქვა მოიპოვება, რომელიც გამოგვადგება ქალაქის ქუჩებისა და მოედნების მოსაფენადო. როგორც მოტანილ ნიმუშებიდგან სჩანს, უკე ესი ქვა ყოფილა და გადმოტანაც უფრო იაფად დაგვიჯდება ყარსის რკინის გზის ლიანდაგის მახლობლად ბამბაკში. ბ-ნ ალიბეგოვის ანგარიშით, თითო საჟ. გზის მოფენა დაჯდება 26—32 მან.

*** გზათა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვით კავკასიაში გზების გასა[illegible]ლია 4,400,000 მანეთი.

*** როგორც „კავკასს" ატყობინებენ ახალქალაქიდგან 6 იანვარს, მიწის ძვრა ს. ბარალეთში არ შეწყვეტილა. მერეში კიდევ ერთი კაცის გვამი უპოვნიათ. მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა შორის კიდევ ერთი კაცი გამხდარა ყვავილით ავად.

*** სოფ. კარდენახი, (სიღნაღის მაზრა). ამ ბოლო ხანებში აქ შესდგა სცენის მოყვარეთა წრე, რომელმაც უკვე გამართა ორი წარმოდგენა. პირველად 9 ნოემბერს წარმოადგინეს „ბაიყუში" და ვოდ. „ახირებული"; მეორედ, 22 ქრისტეშობისთვეს ა. ცაგარლის პიესა „ციმბირელი" და მესამე მოქმედება „მათიკოდგან". ორივე პიესებმა საგანგებოდ ჩაიარა და ხალხიც ბლომად დაესწრო. არ მოველოდით, თუ პიესა „ციმბირელი" ასე საუცხოვოდ ჩაივლიდა. სხვა პიესების უქონლობის გამო დაიდგა ეს პიესა და, მისდა მიუხედავად, რომ ამ პიესისთვის საჭიროა დახელოვნებულნი არტისტები, ამ ახალგაზდა სცენის მოყვარეებმა მშვენივრად ჩაატარეს თავისი როლები. საუცხოვო რამ იყვნენ ბ-ნნი ივრელი მაზუთიანის როლში და ავალიშვილი პეტუას როლში. აგრეთვე კარგად ჩაატარეს თავიანთი როლები: ჯიბლაძემ, სამადაშვილმა და №-მა. მაკრინე და ან. ვაჩნაძისა, თ. ეფიმოვისა და ელენე ანდრონიკაშვილისა პირველად გამოვიდნენ ამ ორ წარმოდგენაში და ასე კარგად შეიგნეს და შეასრულეს თავიანთი როლები, რომ საუცხოვონი იყვნენ. ზემოხსენებულმა ქალებმა და ვაჟებმა დიდი შრომა გასწიეს: დაიქირავეს სამის წლით სახლი სცენისათვის, შეიძინეს საჭირო ნივთები და სხ. მათ აზრად აქვთ წარმოდგენების შემოსავალი გადასდონ კარდენახის სამკითხველოს, საქალებო-სამრევლო და სამინისტრო სკოლების სასარგებლოდ. მადლობას ვუხდით ამათ გარდა კნ. ელენე აბხაზს და ივანე გიორგის ძეს ვაჩნაძეს, რომელნიც დიდად შველიან ამ საქმეს.

*** ± იანვარს ყვირმელთა სასწავლებლის შენობაში გამართული იყო დრამატიულ-მუსიკალური საღამო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ, რომელიც უკვე წლივ იმართება ხოლმე აქაურის ინსპექტორის დ. ა. გედევანიშვილის თაოსნობით და მეცადინეობით. საღამო შესდგებოდა სამის განყოფილებისაგან: პირველს განყოფილებაში წარმოადგინეს ერთ მოქმედებიანი კომედია „Непріятная исторія" და აგრეთვე ერთ-მოქმედებიანივე ფარსი „Теща въ домъ - все вверхъ дномъ". ამ განყოფილების მოსაწყობ მოსამართავად მოწვეული იყო მსახიობი გ. უიფიანი. უმთავრესს „როლს" თვით გ. უიფიანი ასრულებდა. როგორც პირველმა კომედიამ, აგრეთვე მეორე ფარსმაც საუცხოვოდ და მხიარულად ჩაიარა. მეორე საკონცერტო განყოფილებაში მოსწავლეთა გუნდმა მ. ნათაძის ლოტბარობით იგალობა რამდენიმე რუსული საგალობელი და დასასრულ მელიტონ ბალანჩივაძის მიერ დაწერილი „სამშობლო ხევსურისა". შემდეგ თვით გამგემ დ. გედევანიშვილმა იმღერა რამდენიმე რომანსი. დ. გედევანიშვილს და ქ-ნს გამბურგერისას, რომელიც სკრიპკას უკრავდა, რამდენჯერმე გაამეორებინეს იგივე რომანსები. დასასრულ გამართა ცეკვა-თამაში, რომელსაც მოჰყვა ჩვენებური „ლეკური". საღამო დასრულდა ღამის $12\frac{1}{2}$ საათზე.

*** დარიის მონასტრის სამრევლო სკოლაში დროებით სწავლა შეჩერებული იყო, რადგანაც შენობის შეკეთებას შეუდგნენ. სწავლა მხოლოდ ამ თვიდგან დაიწყო, ამიტომ მსურველთ შეუძლიათ მიიყვანონ თავიანთი შვილები.

*** ვაგზლის მახლობლად მცხოვრებნი უჩივიან იაფურ ხორცით მოვაჭრე მედუქნეებს. ამ ვაჭრებისთვის არავითარი ნიხრი არ არსებობს თურმე და როგორც უნდათ, ისე ჰყიდიან ხორცს. თუ ვინმემ გაუბედა, რატომ ნიხრით არ ხელმძღვანელობთო, სრულებით არ აძლევენ ხორცს; თქვენთვის არა გვაქვს ხორციო,—უპასუხებენ. საკვირველი კიდევ ის არის, რომ იმ არე-მარეში დილიდგან მოყოლებული საღამომდის სანთლით რომ ეძიოთ ქალაქის გამგეობის აგენტი, ვერსად იპოვნით თურმე.

*** ტფილისის მეორე გილდიის ვაჭარმა აკოფოვმა გამოუცხადა პოლიციას, რომ წიგნების საკაზმავ სახელოსნოდგან, რომელიც სასახლის ქუჩაზედ იმყოფება, მოპარეს სხვა-და-სხვა ნივთები და წიგნებიო. ეჭვი მიიტანეს და შეიპყრეს ხელოსანი ა. ილურიძე, რომელიც უკვე გამოტყდა ქურდობაში.

### შემოწირულება

ახალქალაქის მაზრაში მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ნატალია სოლომონის ასულმა კლიმიაშვილისამ შემოსწირა 3 მანეთი.

## თეატრის მატიანე

„კიდევ ერთი მსხვერპლი", კომედია 5 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.

ეს პიესა ნიჭიერის დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანცისა ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა პარასკევს, 7 იანვარს, ქ-ნ ნ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ. ამ სეზონში ჩვენის თეატრის გამგეთ ისე მოაბეზრეს თავი თეატრში მოსიარულეთ უშინაარსო პიესებით, რომ ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა სწორედ დიდის მადლობის ღირსია ასეთ აზრიანის და მეტად დამაფიქრებელის პიესის ამორჩევისათვის. ეს პიესა პირველად ქართულად ამ ათიოდე წლის წინად წარმოუდგენიათ, მას აქეთ აღარც დრამატიულ საზოგადოების კომიტეტს და აღარც მსახიობთ არ უფიქრიათ იმის განახლება და წარმოდგენა. კომედია იმდენად საყურადღებოა, რომ საჭიროდ მიგვაჩნია იმის შინაარსის მოკლედ მოთხრობა.

პიესაში გამოყვანილია სამი ოჯახი: პირველი—მდიდრის, მილიონერის პატრონის სტეფან დანილიჩ ბრილიანტოვისა (კ. ყიფიანი), მეორე—შუათანა შეძლებულ ვაჭრის სერგეი ტარასიჩისა (ვ. აბაშიძე) და მესამე—სამხედრო სამსახურში მყოფის, პოდპოლკოვნიკის იაგორ სიმონიჩ სურათოვისა (გ. გედევანოვი), რომელსაც, ჯამაგირის გარდა, სხვა არაფერი გააჩნია. პირველმა, ბრილიანტოვმა, კარგა ხანია აასრულა გულის წადილი: შეიძინა დიდი სიმდიდრე და ამ სიმდიდრის წყალობით სახელი და დიდება მოიპოვა. ეჭვი არ არის, ბრილიანტოვი ამ სიბერის დროს სრულიად კმაყოფილი იქმნებოდა და ბედნიერი განშორდებოდა წუთისოფელს, რომ უხეირო და ფუქსავატი შვილები—ქალი და ვაჟი—არ უწამლავდნენ წუთისოფელს და არ უშხამავდნენ სიბერეს. ფულის შეგროვებას შეჩვეულს ბრილიანტოვს გულს უწყალავს ის, რომ იმისს ერთად-ერთ ქარაფშუტა ვაჟის ვანოს (ბ-ნი შათირიშვილი) და ერთად-ერთის ქალის ნატოს (ქ-ნი ან. აბაშიძე) საზრუნავს მარტო მართვა-მოკაზმვა, სტუმრობა, დღეები „კავალრები" და „დამები" შეადგენენ. მოხუცი სწუხს, რომ იმისს უთვალავ ქონებას ასეთი მემკვიდრენი ჰყავს, რომელნიც, ეჭვი არ არის, მალე მოუღებენ ბოლოს სიმდიდრეს, და იმასა ჰზრუნავს, რომ როგორც ვაჟს, აგრეთვე ქალს ისეთი ჭკვიანი და გამოცდილი მეუღლენი მაინც უშოვნოს, რომელნიც თუ იმათ მოჭკვიანებას არა, მისის ქონების კარგად მოვლასა და მოხმარებას მაინც შესძლებენ. ასეთ საქმროდ ნატოსთვის სერგეი ტარასიჩის შვილი, განათლებული, განვითარებული და ჭკვიანი მიხეილი (ბ-ნი სვიმონიძე) მიაჩნია, ხოლო ვანოს საცოლედ—განათლებული, გონიერი და ახალგაზდა ანანო (ქ-ნი კარგარეთლისა), ქალი სურათოვისა.

ბრილიანტოვზედ უფრო შესანიშნავ ტიპს პიესაში სერგეი ტარასიჩი შეადგენს. სერგეი ტარასიჩი თუმცა შეძლებული კაცია, მაგრამ ეს შეძლება არ აკმაყოფილებს და უფრო მეტის შეძენას სცდილობს. იმის ერთად-ერთ ფიქრს, საზრუნავს ფული და მხოლოდ ფული შეადგენს. იდეალად მას ბრილიანტოვი მიაჩნია; როდესაც იმასავით მილიონებს შეიძენს, როდესაც იმასავით საკუთარ ეტლებს გაიჩენს, მაშინ ტარასიჩი სრულიად მოისვენებს და განცხრომას მიეცემა. სინიდისი, პატიოსნება, სწავლა, განათლება ტარასიჩისთვის არ არსებობს, ყველა ეს მაშინ არის კარგი, როდესაც ფული ბლომად შემოაქვს. და აი თავისს იდეალის განსახორციელებლად სერგო ტარასიჩი, ანუ სარქისა გულით არის მოწადინებული შვილს ბრილიანტოვის ქალი შერთოს და იმისი დიდი მზითევი თავისს ოჯახში დაატრიალოს. განზრახვა მოჰყავს კიდეც სისრულეში. ბრილიანტოვი თანახმაა ქალი მიათხოვოს მიხეილს, მაგრამ ამ საქმეს წინ თვით მიხეილი ეღობება, რომელსაც სურათოვის ქალი ანანი უყვარს და

---

ყველა შეიარაღებულია მისს საბრძოლველად. ჩვენი ბრძოლის იარაღი ჯერ-ჯერობით იგივე წყევლა-კრულვაა; თუმცა ამას არაფერი ძლიერება აქვს, მაგრამ მაინც ვწყევლით ამ ზამთარს და სასოებით მოველით მზის მოქცევას. ამის იმედიც რომ არა გვქონდეს, ვინღა გადურჩებოდა ახლანდელს ჩვენს სატანჯველს.

„სჯობს შედარებით ვილაპარაკოთ:

„თქვენ, ქალაქის მცხოვრებნი, (ჩვენ სათვალავში არ ვაგდებთ იმ სოფლელთ, რომელნიც სოფლის ჭირს გაექცნენ და ქალაქს თავი შეაფარეს და აქაც ჭირში არიან) ამ ზამთრის გძელ ღამეებში საბანსაც ვერ იკარებთ ოთახის სითბოს გამო, ჩვენს სახლებში კი ყოველის მხრივ ყინვის ქარი შამოშუქშუქებს; სიცივის გამო ვიკრუნჩხებით, თავი ფეხებთან გვაქვს მიტანილი და ყოველს ბალაბურდოსა და ძონძებს ვიყრით თავზედ, რომ ამონასუნთქი სითბო მაინც შევირჩინოთ, მაგრამ სად მოინახება ისეთი ძონძები, რომ სასულე არა ჰქონდეს და ჩვენი შრომა ამაოდ მიდის: შამფურზედ აგებულ შესაწვავ გოჭივით ვტრიალებთ მთელი ღამე და განთიადს ცხოვრებასავით მოველით.

„თქვენ, ბატონებო, დილით ჩაი მოგერთმევათ; ფუნთუშა პურებს, გომიჯს, ნაზუქებს, შაქრის კვერცხებს და კარაქს ხონჩაზე დაგილაგებენ; ჩვენ რომ გაფიცხებულს მჭადსა და შავი პურის ყუას საკმაოდ ვიშოვნიდეთ ნალამურის მუცლის გამოსაფერავად, ჩვენს ბედს ძაღლიც-კი არ დაჰყეფს! სადილობამდე ჩვენს სტომაქში შიმშილის გვრემაა და სადილად თუ მუშა დღეებში, როცა სხვისათვის უფრო ბევრსა ვშრომობთ, ვიდრე ჩვენთვის, აი, ამ დღეებში იმერულმა თუ საკმაოდ მჭადი და ლობიო და ქართლელ-კახელმა ქერნარევი პური იშოვა, რომელსაც ყოველს ლუკმაზედ თუ წყალი არ დავაყოლეთ, ყელში უნდა გაგვეხიროს, ეს თუ ვიშოვნეთ, ვამბობ, დიდ ღვთის წყალობად ჩავთვლით. ეგ ისეთი ჩვეულებრივი საჭმელია ჩვენთვის, როგორც თქვენთვის ხორცი და პური, ღვინო და სხვა-და-სხვა სასმელი.

„თქვენ თუ ავად გახდებით, მკურნალი კარის ყურში გყავთ;- ჩვენ-კი მკურნალის ნაცვლად მკითხავები გვასევიან თავს და ხან ამ ხატთან მიგვასწავლიან, ხან იმ ხატთან, ხან საუღლე ხარს შამოგვავლებენ თავს, ხან სახედარ-ცხენს და ასეთს ოჯახის განძს გამოგვათხოვებენ. ხან ხბოიანს ძროხას. ამ გვარად, სადაც თქვენ დიდს ავადმყოფობას ორი-სამის მანეთით გადარჩებით, ჩვენ უბრალოს საბრძოლველად ოცი და ორმოცი არა გვყოფნის, თუ ჩვენს არე-მარეში მიღებულ საშუალებას მივმართეთ, სნეული ხომ, თუ ღვთის ნებით არ განიკურნა, სიკვდილმა მაინც უნდა იმსხვერპლოს.

„ჩვენს უმეცრებასა და სიღარიბესთან აუტანელ გარდასახადით ვართ დატვირთული და, როცა თქვენ მოქალაქენი ფულებს ბანკებში მიარბენინებთ შესანახად, ან იაფის კრედიტის გასაძლიერებლად. ჩვენში ახალი, იაფი კრედიტი რასა ჰქვიან, არც-კი დაგვესიზმრებია. ყოველ მანეთის სესხება ისე გვიჯდება ახლაც, როგორც ვახშობის მეფობის დროს. ვახშის დამთრგუნველს კანონს ჩვენთვის ჯერ არაფერი შეღავათი მოუცია: ფულის სესხების დროს თავნსა და სარგებელს ერთად შევსვამთ და ორივეს თავნად და ვწერთ თამასუქს ქაღალდზედ. ხან და ხან ასეთს სესხსაც ვერა ვშოულობთ, თორემ ამას ვინღა ჩივა!

„თქვენი ქუჩები და გზები მოკირწყლული, მოროკილი, მოსწორებული ქვაფენილია; ჩვენს გზებსა და ორღობეებში-კი ყოველს ნაბიჯზედ ღრმა ტალახში ვეფლობით და ჩვენ და ჩვენი საქონელი ცხვირპირ ვიმტვრევთ შიგ. ეს რაც რკინის გზები შემოიღეს, სამეზობლოში ვეღარ მივსულვართ და სოფელი სოფელს ვეღარ „ულარლილებს", სასოფლო გზები ნაკადულებმა დაღარა.

„თქვენთვის განა ღამე ღამეთ ჩაითვლება! მთელი ქალაქი გათენებამდე გაჩირაღდნებულია. ჩვენს სოფელს კი კუნაპეტი ღამე დაისიდგან აისამდე ისეთს სამარის ლოდს წარმოადგენს, რომლის ქვეშ თითქო ცოცხალ-მკვდართა სავანეა გამზადებული. ძაღლის ყეფა თუ აფიქრებინებს ვისმეს, რომ აქ ადამიანი უნდა სცხოვრებდეს, თორემ სხვა ყოველივე სიკვდილსა ჰმოწმობს.

„თქვენს გაჩაღებულს ქალაქებში ღამ-ღამობით თეატრები გაქვთ გამართული, სადაც ადამიანის კეთილზნეობასთან ავზნეობას, კეთილობასთან სიმდაბლეს, ბიწიერებასთან უმანკოებას, შეუბრალებლობასთან სიბრალულს და მოწყალებას გიხატავენ თვალ წინ, მაგრამ ის სურათი მაინც და მაინც დიდი მასწავლებელი არ არის თქვენი. თუ მაინც და მაინც ზოგიერთს თქვენგანს გულში მოხვდა რამე და ძარღვი აუშალა, იქვე სულის მალამოდ და დამამშვიდებელად შოპენის და ვაგნერის, მოცარტისა და ბეთჰოვენის მუსიკა კეთილ ჰარმონიას გამოსცემს.

„ჭირისა და ვარამის გამო აღბორგებულს ჩვენს სულს რა დაამშვიდებს, რა დააწყნარებს, რომელი მუსიკა გაგვინელებს მწარე ცხოვრების მდუღარეს! ჩვენი მუსიკა ისევ ის ზარის ხმაა, რომელიც როგორც 1500 წლის წინად, უქმის ძალს შეგვატყობინებს და მუშაობაზედ ხელს აგვაშვებინებს და მეორე დღეს საყდრისაკენ გვეპატიჟება, მიგვიწვევს იმ ალაგას, სადაც ყოველივე საიქიოს მოგვაგონებს, აქ ჩვენ რა აზრები მოგვდის თავში, რა იმედი, რა ოცნება და ხან და ხან რა კაეშანი დაგვაწვება გულზედ—ცალ-ცალკე ძნე-

ანანიც იმას თანაუგრძნობს. ამათვე თანაუგრძნობს ცოლი ტარასიჩისა სალომე (ქნი ჩერქეზიშვილისა), კეთილი და სათნო დედაკაცი, რომელსაც შვილის ბედნიერება ფულს ურჩევნია.

მესამე ოჯახი, ამ პიესაში გამოყვანილი, იაგორ სიმონიჩ სურათოვის ოჯახია. ეს ოჯახიც, ერთის წევრის ანანის გარდა, აგრეთვე ფულის შეძენის სენით არის შეპყრობილი. თვით პოლკოვნიკი იაგორ სიმონიჩი უბრალო, თავმდაბალი და გულ-უბრყვილო კაცია. თუმცა ფული იმისს იდეალსაც შეადგენს, მაგრამ იგი ქალის ბედნიერებას უფრო აფასებს და ამიტომ თანახმაა ანანი მიხეილმა შეირთოს. მაგრამ ოჯახში იმას თითქმის არაფერი ეკითხება, ყველაფერს ცოლი სალომე (ქნი გაბუნია ცაგარლისა) განაგებს და თავისს ნებაზედ ატრიალებს. სალომე პირველ ხანს გულით იყო მოწადინებული ანანი მიხეილისთვის მიეთხოვებინა, მაგრამ, შემდეგ, როდესაც, ტარასიჩის წყალობით, იმისს ქალს უკეთესი, ესე იგი უფრო მდიდარი, საქმრო გამოუჩნდა, გულით მოიწადინა, ქალი იმ უკეთესისათვის მიეთხოვებინა.

როგორცა ვთქვით, ანანია და მიხეილს ერთმანეთი უყვართ. მამამ მიხეილისამ სტეფან იაგორიჩმა, იმ აზრით, შეყვარებულნი ერთმანეთისთვის დაეშორებინა, იმდენი იეშმაკა, იმდენი იხერხა, რომ სალომეცა და ბრილიანტოვიც დაიყოლია პირველის ქალი მეორეს შვილს შეერთო. მთელის პიესის ინტრიგა ტარისიჩისა და სალომეს ხრიკებზეა აგებული. მთელი საათობით შესჩიჩინებს სალომე ქალს მიხეილს უარი უთხარ, ნუ მისთხოვდებიო, ეუბნება, ღარიბები ვართ, დავიღუპებით, თუ მდიდარს არ გაჰყევიო. ბოლოს ანანი ცალკე თავისა დედისა, ცალკე ტარასიჩისაგან შეწუხებული უარს უცხადებს სასურველს მიხეილს და ეუბნება, სამუდამოდ უნდა დავშორდეთ ერთმანერთს, რადგანაც განვიზრახე ჩემი ბედნიერება დედის ბედნიერებას შევსწიროვო და აი, ეს შეწირვაა ბედნიერებისა ერთი მსხვერპლი იმ მრავალ მსხვერპლთან ერთად, რომლის მიზეზნიც ძალიან ხშირად დედ-მამანი არიან.

პიესაში თითქმის ყველა მოქმედნი კარგად არიან დასურათებულნი. სუსტია ცოტა მიხეილი, რომელიც, როგორც იდეალისტი, უფრო ლაპარაკობს და ჰქადაგებს, ვიდრე ჰმოქმედებს.

რაც შეეხება პიესის წარმოდგენას სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საღამოს არტისტებმა საგანგებოდ ისახელეს თავი. თითქმის ყველანი საუცხოვოდ არდგენდნენ თავიანთ როლებს. ასეთი მწყობრი წარმოდგენა იშვიათად გვინახავს ქართულს სცენაზედ. შეუდარებელი იყო ამ საღამოს ვ. აბაშიძე. იშვიათის ნიჭითა და უნარით დაგვიხატა მან იმ კაცის სახე, რომლისთვისაც ფულის გარეშე არაფერი არსებობს. სამაგალითო იყო აგრეთვე თვით მობენეფისე ქნი გაბუნია ცაგარლისა, თუმცა კი კარგს იზამდა როლი უკეთ შეესწავლა. მეტად კარგად წარმოადგინეს ამ ნიჭიერმა მსახიობებმა მეორე მოქმედების სცენა, სადაც ტარასიჩი ურჩევს სალომეს, შენი ქალი ბრილიანტოვის შვილს მიათხოვეო. კარგი იყო ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა აგრეთვე უკანასკნელ მოქმედებაშიაც, როდესაც სალომე თვისს ქალს ეხვეწება და ემუდარება, მიხეილს თავი დაანებე და ვანოს მისთხოვდიო. მშვენიერად ასრულეს თავიანთი როლები აგრეთვე ბ-ნმა ყიფიანმა, გედევანოვმა, კ. მესხმა (მსახურის როლი), ქ-ნთ ჩერქეზიშვილმა, კარგარეთელმა და განსაკუთრებით ტ. აბაშიძემ, და შათირიშვილმა, რომელთაც თავიანთის მოხდენილის თამაშობით ბევრი აცინეს საზოგადოება.

საზოგადოდ პიესა მშვენივრად იყო წარმოდგენილი. მობენეფისეს რამდენიმე საჩუქარი მიართვეს.

დასასრულ დრამატიულ კომიტეტის ან ვისიც ჯერ არს ყურადღება არ შეგვიძლიან არ მივაქციოთ იმ უწესოებას, რომელიც ყოველთვის ტეატრში ხდება, როდესაც წარმოდგენას ბევრი ხალხი ესწრება ხოლმე. ყვირილს, ღრიალს, ლაპარაკს თვით წარმოდგენის დროს დასასრული არა აქვს ხოლმე. ბევრი ფეხზედაც სდგას შიგ შუა პარტერში და სხვებს ყურებას უშლიან.

მოკეთე

## წერილი გუდაუთიდან
(აფხაზეთი)

ამ უკანასკნელ დრომდე ჩვენი უხვად დაჯილდოვებული მხარე სწავლა-განათლების მხრივ სრულიად მივიწყებულია. 25 ათასი მცხოვრები გუდაუთის ნაწილისა შეჰყურებდა 1892 წლამდის ერთად ერთს სამრევლო სკოლას. წრეულს-კი გუდაუთში დაარსდა ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა. აი, ამ ორს სკოლას ცოურ მანანასავით შეჰყურებდა მთელი ეს მხარე. 1894 წლიდგან სულ სხვანაირად დატრიალდა ჩვენი ბედი. ამ წლის შემოდგომაზედ მაშინდელ ქუთაისის გუბერნატორის გენ. შალიკოვის მიერ გამოგზავნილ იქმნა ინსპექტორი დმიტრიევი, აწინდელი ტფილისის გუბერნიის საერო სკოლების დირექტორი, სკოლების დასაარსებლად. ზოგი სიღარიბესა გამო, ზოგიც ერთის ვაჟბატონის ჩაგონებით, საზოგადოებამ უარი გამოუცხადა ბ-ნს დმიტრიევს, ჩვენის ხარჯით სკოლებს ვერ შევინახავთო. კიდევ ორ-სამს წელიწადს მთავრობა უჩიჩინებდა საზოგადოებას, მაგრამ ვერა გააწყო-რა. მაშინ ზედი-ზედ ყოველს დიდს საზოგადოებაში საეროს ხარჯით დაგვიარსეს სახალხო სკოლები. სოხუმის საეპარქიო სამოსწავლო საბჭომაც დაგვიარსა თავისის ხარჯით შვიდი თუ რვა სამრევლო სკოლა, ასე რომ ეხლა ყოველს დიდს საზოგადოებაში არსებობს სამრევლო, თუ სამინისტრო სკოლა, ზოგან-კი ორივე ერთად. ხალხიც, ის ხალხი, რომელიც ამ 15—20 წ. წინად სკოლას განზედ გაურბოდა, ეხლა სკოლას ეწყდება. ჩვენს სკოლებში ბავშვების ტევა არ არის. რასაკვირველია, ამ სკოლებში, როგორც ახლად დაარსებულში, ჯერჯერობით ვერ არის რიგიანად დაყენებული სწავლების საქმე, მეტადრე სამრევლო სკოლებში, გარნა იმედია,— ახლო მომავალში ეს საქმეც თავისს დონეზედ დადგება და ბედის უკუღმა ტრიალით დაბეჩავებულს ხალხს მიეცემა საშუალება პირველ დაწყებითს სწავლას დაეწაფოს. მაგრამ აქ მაგარი ის არის, რომ რა უნდა ჰქნას ერთ-კლასიან სკოლაში კურს დამთავრებულმა ბავშმა? სოფლის სკოლა ხომ ძალიან ცოტას იძლევა, შორს სადმე სწავლის განსაგრძობად წასასვლელი საშუალება და ფული აქაურ გლეხს არა აქვს. მთელს სოხუმის ოლქში, სადაც 110 ათასზე მეტი მცხოვრები, ორ-კლასიან მთიელთა სკოლაზედ (Горская школа) უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობს, ეს სკოლა-კი თავისის პროგრამით უდრის ორ კლასიან ნორმალურს სკოლას. აი, ამ გაჭირვებიდგან გამოხსნაში ცოტად გვიშველიდა აქ განზრახული ორკლასიანი სასწავლებელი სამეურნეო განყოფილებით. საქმე აი როგორ არის: ბევრის უნაყოფო ხვეწნა-მუდარის შემდეგ, საზოგადოება დაადგა იმ დასკვნას, რომ თავისს თავს თითონვე უშველოს და საკუთარის ხარჯით დააარსოს ზემოხსენებულ სახის სასწავლებელი. მაშინვე შეადგინეს საზოგადოებათა რიცხვისამებრ თორმეტი განაჩენი, რომელთა ძალითაც მომავალ სკოლას სასარგებლოდ და შესანახავად ყოველი კეთილშობილთა ოჯახს უნდა ეხადნა წლიურად ერთი მანეთი; გლეხს-კი — ათი შაური. ეს განაჩენები მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქმნა და 1896 წ. მასში ადგილობრივ პოლიციას მოუვიდა გუბერნატორის ბრძანება —„დაუყოვნებლივ შეუდექით ამ ფულის მოგროვებასა და სექტემბერშივე დაბა გუდაუთაში დააარსეთ სასწავლებელიო“. მაგრამ პატიოსანი და კანონიერი მასწრაფება საზოგადოებისა და ბრძანება უმაღლესი მთავრობისა დღემდის შეუსრულებელი რჩება მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა, თუმცა ეს ბრძანება არა ერთხელ და ორჯელ უოფილა განმეორებული! ნუ თუ უსწავლელისა და ღარიბ-ღატაკის მოკლე-პატრონობა უფრო ადვილია?!

ასეა თუ ისე ეს სასწავლებელი დაგვიკარგეს და მასთან ერთად ჩვენთვის დაიკარგა ის უხვი შემწეობა, რომელსაც გვპირდებოდა სამოსწავლო მთავრობა, და ეს-კი იმ დროს, როცა ამასთანა პრაქტიკული სკოლა სულზედ მისწრება იყო ჩვენთვის. საკვირველი არ არის, სატირალი რომ არ იყოს, რომ თუთის სამშობლოში აბრეშუმის კეთებას არ მისდევს ხალხი!

აქვე არ შეგვიძლიან არ გავუზიაროთ მკითხველს ჩვენი სიხარული. როგორც ისმის, ჩვენს დაბაში აპირებენ დააარსონ სასულიერო სამოსწავლო სემინარია. ეს უკვე გადაწყვეტილი აქვს სოხუმის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს, თუ აქაც უკუღმართმა ბედმა არ გვიმტყუნა!

ჰამუთ-ბეი

## წერილი აფხაზეთიდან.

რომ იტყვიან—უბედურს დღეს გაჩენილაო, სწორედ დრანდის ქსენონის შესახებ არის ნათქვამი. პირველად იყო და ჩვენს მკურნალს ბინა სოხუმში ჰქონდა, თუმცა დრანდის ქსენონის მკურნალად ირიცხებოდა, და ქსენონში-კი თვეში ერთხელაც არ გაივლიდა ავადმყოფთა სანახავად. ეხლა, როგორც იქმნა ის მკურნალი განთავისუფლდა ქსენონში სამსახურისაგან, და ქუთაისის გუბერნიის სამკურნალო განყოფილების მოწერილობით დრანდის ქსენონის პატრონობა დროებით ჩაჰბარდა სოხუმის ოლქის მკურნალს ბ-ნს ბარსკის, მაგრამ აგერ თვე გადის და მკურნალი არსადა სჩანს, აქ-კი ავადმყოფობა ხშირია და ხალხი უმოწყალოთ იხოცება. თუ-კი ხაზინა 3—4 ათასს მან. ყოველ წლივ ჰხარჯავს აქ ქსენონის შესანახად, ნუ თუ ამ საქმის მეთაურთ ისე გაუჭირდათ მკურნალის შოვნა და საქმის ისე მოწყობა, რომ ქსენონი თავისს დანიშნულებას ასრულებდეს?!

ორ წელიწადზედ მეტია, რაც კოდორის ახალი ხიდის ნახევარი ჩაინგრა. მას აქეთ აკეთებენ ამ ხიდს, მაგრამ ისევ გაუკეთებელია. ნეტავ ვიცოდეთ ვეღირსებით ოდესმე იმის გაკეთებას?

ამ დღეებში სოფელ შაფს კ. მაჭავარიანის მამულში დაიწვა თამბაქოს საწყობი სოხუმის მოვაჭრე გუთუ ნარაკიძისა. სათამბაქოეში ეწყო ოთხას ფუთამდე დემებად დაწყობილი თუთუნი. მიზეზი ცეცხლის

---

ლი მოსაყოლია; ერთად ავკინძავთ და ვიტყვით, რომ ჩვენ სააქაოსაც საიქიოთი ვცხოვრობთ. თითქოს გვენატრება მალე ავიხადოთ კისრიდგან უმწეო ცხოვრების მძიმე უღელი, მოვცილდეთ ამ სოფელს და იმ სოფელს თავი შევაფაროთ.

„ეჰ! ვის ექმნება იმდენი მოთმინება, რომ ჩვენთვის მოიცალოს და მოგვისმინოს ყველაფერი, რაც ქალაქის მცხოვრებლებს უპირატესობას აძლევს ჩვენს ცხოვრებასთან შედარებით. ისევ საზოგადოდ ვსთქვათ, რომ ამ ჟამად ქალაქური წესწყობილება იმდენს შეღავათს აძლევს ადამიანს ცხოვრებაში, რომ ყველას იქით მიუწევს, ყველა იმას ეტანება, ეკედლება, ყველას იქ უნდა ცხოვრება და დაბინავება. ჩვენი თავადი და აზნაური, რომელსაც ფრთა შეკვეცილ არწივის სული-და შერჩენია, რომელიც გარემოებით ყინულისა და ნაპირზე ამოგდებულ სულის მღაფავ თევზის მდგომარეობაშია, რომელიც კრილოვის ბეხრეკ ლომსა ჰგავს მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი თავისის დღით არ არის სასიკვდილოდ მოხუცებული, არამედ შემთხვევით ისტორიის ტალღას დაუჩაჩანაკებია და, მაშასადამე, ახალი სოციოლოგიის ცრუ-მეტყველნი ტყვილად ეხვევიან სხვა დროს კი მათზედ მორგებულს, მაგრამ ამ შემთხვევაში მათთვის შეუფერებელ ვირის ტყავში, რათა ამ პირუტყვული წიხლი ესროლონ ამ წოდებას,— ვამბობ, ეს თავად-აზნაურობა ქალაქისაკენ მიისწრაფის. ვარანცოვის დროს ტფილისში საქეიფოდ მიდიოდა, ახლა საჯახრიკოდ უნდა იქ დაბინავება!.. გლეხისა რაღა ვთქვათ? იგი ხომ ისტორიამა და ჩვეულებამ დედა მიწას მიაჯაჭვა; იგი თუმცა იგივე ციყვი, თრითინაა, რომელიც ზაფხულობით ზამთრისათვის სულის მოსაბრუნებელს სარჩოს აგროვებს მხოლოდ, იგი ხომ იგი ჯორია, რომელიც ქვეყნის ცოდვის ზიდვას არის მხოლოდ მიჩვეული და სხვა მოთხოვნილება ადამიანურის ცხოვრებისა მისთვის დახშულია, მაგრამ აგერ ეგეც კი ქალაქისაკენ იბრუნებს პირს. აბა ერთი მიბრძანეთ, ბატონო ქალაქელებო, კარგი იქმნება, რომ ყველა ჩვენ სოფლის მცხოვრებნი ავიყარნეთ და ქალაქებში ჩამოვიდეთ? არ შეშფოთდებით? არ აგერევათ განა მყუდრო ცხოვრება? და სხვანი და სხვანი...

„დიაღ, დღეს ქალაქი მეფეა, თვით მპყრობელია; ქვეყანა მისს გეგმაზედ უნდა მოეწყოს, მისს ქეიფზედ უნდა ტრიალებდეს, მეცნიერების ნაყოფი მას მონოპოლიად გაუხდია: რაც კი ცხოვრების გასაუმჯობესებელი მოიგონა მეცნიერებამ, ყოველივე ქალაქის სარგო სახმარ-სახრავად გახდა, სოფელი-კი ყურს უკან არის მიგდებული.

„მიბრძანეთ, რა შესძინა სოფელს ფილოსოფიამ, პსიხოლოგიამ, პედაგოგიამ, იურისპრუდენციამ, პოლიტიკამ, პოლიტიკურმა ეკონომიამ, ისტორიამ, არხიტექტურამ, ქიმიამ? არაფერი. ყველა ამათი ნაყოფი ქალაქებს აქვს დასაკუთრებული“.

სხვათა შორის, აი ამას ამბობს სოფელი და რისიც თქმა არ ეხერხება, ის ხომ ზღვის უმეტესია, მთელი ოკეანეა. დიაღ, სოფელი შეპყრობილი ჰყავს უმეცრებასა და სიღარიბეს, და რასაც ამ გარემოებაში მყოფი სოფლელი სტიქიონს გამოჰგლეჯს ხელიდგან, რასაც ფილოქსერა, სკანთარი, მუხუნძელი, კალია და ათასნაირი, მოუძლურებულ ჟამის მორეკილი ჭ ალუა არ შეუჭამს, რასაც სეტყვას, გვალვასა და წყალ-მეწყერს დასცინცლავს ხელიდგან, რაც ყველა ამას გადარჩება, იმის გაყიდვაც არ შეუძლიან რიგიანად, რომ ტიტველი კანი დაიფაროს და უვახშმოდ სხვა-და-სხვა ნაირი აუცილებელი ბეგარა მოიხადოს.

მიბრძანდით ქუთაისისა, ტფილისისა, გორისა, ფოთისა, ბათუმისა და სხვა წვრილმან დაბების ბაზრებში, დაათვალიერეთ აქაურ ვაჭრების, ურიების, სომხებისა და ბერძნების სხვა-და-სხვა სავაჭრო საწყობები, გაეცანით ამათ ვაჭრობის ხასიათს და სანახავს იქა ჰნახავთ! ჩვენი პური, ჩვენი ღვინო, ჩვენი ხილი, ჩვენი ტყე, ქვა, მადანი და სხ., ყოველივე ნახევარ ფასად მიდის და მწარმოებელს აღარაფერი რჩება.

სოფლის ასეთი მდგომარეობა დიდი საერო უბედურებაა. სადაც ერის უმეტესობას ბნელეთში ყოფნა ხდომია წილად, სადაც ასეთი უმეტესობა ჩარჩ ვაჭართა და მრეწველთა საძოვარ იალაღად და ხან-და-ხან ასალაგმავ ლახორად გამხდარა, იქ ერის მერმისი საეჭვოა, იქ ერის ბედი ბეწვზედ ჰკიდია: 100 და 1000 კეთილ დღეობით დამტკბარი ვაჭარი, მოხელე, მრეწველი, ხელოსანი და თუნდ ის ინტელიგენცია, რომელიც ქალაქს მიჰკედლებია და პრაქტიკულ კერძო ინტერესების გამო თავისს ცოდნას უბრალო შრომად ახურდავებს, ვერასოდეს ვერ გასწევს მილიონ ღარიბ-ღატაკთა მაგიერობას ერის გაძლიერებისა და შენახვა-არსებობისათვის.

ჩვენის საზოგადოების შეძლებული და შეგნებული ნაწილი უნდა ეცადოს, რომ სოფლელმა თვისი ეზო-გარემო და არემარე არ შეიძულოს, თორემ თუ ერთხელვე მან ფეხში ქვა აიგორა, ვინ იცის სად გადიხვეწება, სად მიაწყდება და რომელ ერის ჯამში გაილესება.

ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, რომ ამ დღესასწაულებს ტკბილ-ტკბილის სიტყვებით, ია-ვარდზედ საფრენ აზრებით ვერ მივეგებე, მაგრამ ნეტა აქამომდეც არ გვეტყუილებინა თავი და სიტყვა საქმისათვის შეგვეფარდებინა ყოველთვის. ჭირის დროს გვეტირა და ლხინის დროს გვეცინა.

Amicus

გაჩენისა, როგორც გამოირკვა, საწყობის დარაჯი ყოფილა, რომელსაც დამბაჩა გავარდნოდა და თითონაც დაშავებულა და თამბაქოსაც ცეცხლი გაჩენია. თამბაქოს გარდა შიგ ეწყო ყოველგვარი სამუშაო იარაღი და სხვა სამკაული. ყოველივე ეს ორი საათის განმავლობაში შთანთქა ულმობელმა ცეცხლმა. თუმცა მცხოვრებთა დახმარებით ოცდა ხუთამდე ფუთი თუთუნი გადაარჩინეს დაწვისაგან, მაგრამ იმასაც პატრონს არ აძლევენ, რადგან ლაფერმას ამხანაგობას დაზღვეული ჰქონია ის 1,600 მან. რომელიც მიეცა ნარაკიძისათვის და ახლა ის თუთუნიც იმ ფულის ანგარიშში მიაქვს. პატრონს კი თუთუნი დაზღვეული არა ჰქონია. მთელი ზარალი ხუთი ათას მანეთს უდრის. შაფის საზოგადოება მეტად დაღონა ამ სამწუხარო შემთხვევამ და დაზარალებულს ნარაკიძეს თუთუნის საწყობ შენობისათვის საჭირო მასალა უფასოდ დაუთმო, ოღონდ თავს ნუ დაანებებთ თუთუნის წარმოებას ჩვენს სოფელშიო.

ბევრი დაწერილა და თქმულა გაზეთებში სოხუმ-დრანდის გზის უვარგისობის შესახებ, მაგრამ არ იქმნა, არა ეშველა-რა ამ გზის შეკეთებას. წელიწადი ისე არ გაივლის, რომ ადამიანი არ იმსხვერპლოს ამ გზამ ომნიბუსით მოგზაურობის დროს, მაგრამ ყურს-კი მაინც არავინ იბერტყავს. საკვირველია აგრეთვე, რომ ჩვენი ომნიბუსების“ პატრონები ხშირად ათი კაცის ალაგზედ ოცსა და მეტს მგზავრს სტევენ, ოცი ვერსის მანძილზედ ოთხი ცხენით მიჰყავთ, რაიცა შეუძლებელია ამ გაოხრებულს გზაზედ.

აფსუა

## ჟურნალ-გაზეთებიდგან·

(ამოკრებილი ამბები)

ომის დაწყებისათანავე სამხრეთ აფრიკაში ინგლისის ჯარს მოუწადინია მარკონის უმავთულო ტელეგრაფის გამოყენება, მაგრამ, როგორც „Daily Mail“-ი იუწყება, ვერაფრის სასურველი ნაყოფი ვერ მოუტანია. უმავთულო ტელეგრაფი გაუმართავთ აარსა და მდინარე მოდდერს შუა. ამ ადგილებს შუა რამდენიმე სადგურიც გაუმართავთ. უმავთულო ტელეგრაფი კარგად და წესიერად მხოლოდ ორ სადგურს შუა მოქმედებდა თურმე, დანარჩენ სადგურებში ვერც ერთი დეპეშა ვერ გადაუციათ ხეირიანად: ბევრი სიტყვები ჰაერში იფანტებოდა და დეპეშას აზრს უკარგავდა. გამოკვლევას აღმოუჩენია, რომ ამისი მიზეზი რკინის მადნეული ყოფილა, რომლებიც ბლომად მოიპოვება თურმე იმ ადგილებში. მარკონის სისტემის სატელეგრაფო მანქანა ბურებს გამოუწერიათ ევროპიდგან, მაგრამ გზაში ინგლისელებს ჩაჰვარდნიათ ხელში და თავიათვის გამოუყენებიათ. ეხლა ინგლისელებსაც თავი მიუნებებიათ მარკონის ტელეგრაფისთვის და იმის ნაცვლად დეპეშების გადასაცემად ვიტსტონის სისტემის მანქანები შემოუღიათ. ამ სატელეგრაფო მანქანით ერთ წუთში 240 სიტყვის გადაცემა შეიძლება თურმე ერთის მავთულის წყალობით. საჭიროა მხოლოდ ერთი მავთული და დეპეშის გადაცემა ყველა მხარეს შეიძლება თურმე. ინგლისელებს სამხრეთ აფრიკაში ის ტელეგრაფი საუკეთესოდ უცვნიათ და ახლა სამხედრო საქმეში მხოლოდ იმასღა ხმარობენ თურმე.

* * *

გაზეთი „Petit Bleu“ შემდეგს ამბავს მოგვითხრობს: ბელგიის დედოფალს ძალიან უყვარს თურმე ერთის კარის-კაცის პატარა ბავშვი, ახალწლის დღეს დედოფალს განუზრახავს ბავშვის დასაჩუქრება. დედოფლის ბრძანებით უყიდნიათ მეტად ლამაზი და გაწვრთნილი თუთიყუში. გამყიდველი არწმუნებდა თურმე ყველას, რომ თუთიყუში სამაგალითოდ არის აღზრდილი და გაწვრთნილიო. მაგრამ წარმოიდგინეთ კარისკაცთა გაკვირვება, რომ, როდესაც თუთიყუში სასახლეში მიუყვანიათ და დედოფალი იმის სანახავად გამოსულა, გაწვრთნილს ფრინველს ამ გვარად დაუწყვია ყვირილი: „შორს ჩვენგან დედოფალი! გაუმარჯოს რესპუბლიკას“!.. რასაკვირველია, კარის კაცებს ერთი ალიაქოთი და აურ-ზაური აუდგათ თურმე. მაშინვე თუთიყუშისთვის ჩამოხრჩობა გადაუწყვეტიათ, მაგრამ დედოფალი წინააღმდეგი გამხდარა ამ გარდაწყვეტილებისა, უპატიებია თუთიყუშისთვის დანაშაულობა, შემდეგ გამოცდილ და დახელოვნებულ მასწავლებლისთვის გადაუცია ხელ-ახლა გასაწვრთნელად და აღსაზრდელად. თუთიყუში იმდენად გონიერი მოსწავლე გამომდგარა ახალ მასწავლებლის ხელში, რომ სწორედ ახალწლის დღეს სხვა ჰანგზედ დაუწყვია ყვირილი: „გაუმარჯოს დედოფალს! შორს ჩვენგან რესპუბლიკაო!“ ამ რიგად ერთ კვირაში თუთიყუშს რწმენა გამოუცვლია და რესპუბლიკანელის მაგიერ მანარქისტად გადაქცეულა.

* * *

ამერიკის ქალაქ ადრიანის მცხოვრებნი ამ ბოლოს დროს დიდ ფიქრსა და საგონებელში ჩავარდნილან თურმე. საქმე ის არის, რომ ამ ქალაქში საოცრად გამრავლებულან შინაური კატები, რომელთაგან მცხოვრებთ მოსვენება აღარავისა აქვთ. განსაკუთრებით ღამე, როდესაც კატები ერთ კნავილსა და ვაი უშველეზელს ასტეხავენ ხოლმე. ადრიანში სულ 1,100 სული მცხოვრებია, კატა-კი, როგორც უკანასნელმა აღწერამ აღმოაჩინა, 3,500 ყოფილა. ასეთის შეუფერებლობის გამო ქალაქის საბჭოს გადაუწყვეტია რამე ზომები მიიღოს კატების წინააღმდეგ. და აი მას შემდეგ მოქალაქენი, ქალები და ბავშვები ჯოხებით შეიარაღებულნი დადიან თურმე ქუჩა-ქუჩა და უწყალოდ ხოცავენ კატებს.

## გამოსადეგი ცნობა

დამლაშებულს საჭმლის წვენს შეიძლება სიმლაშე გამოეცალოს. ამისთვის წმინდა ტილოში ერთი მუჭა ფქვილი უნდა გამოჰკრათ, ქვაბში ჩაჰკიდოთ და ისე განაგრძოთ ხარშვა. ფქვილი მარილს აკრეფავს და საჭმელს გემო გაუკეთდება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 იანვარი.

**სტოკჰოლმი.** სეფე სიტყვის შემდეგ, კრონპრინცის უფროსმა შვილმა ფიცი მიიღო ტახტის მემკვიდრეობის ერთგულობის შესახებ.

გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვაში, რომელიც დღეს პარლამენტს წარუდგინა მთავრობამ, წინადადება არის ბერლინში სამხედრო აგენტის თანამდებობის დაარსების შესახებ.

**ვაშინგტონი.** გუშინ, სენატის მიერ სამოას შესახებ დადგენილ ხელშეკრულობის განხილვის დროს მხოლოდ ორი დემოკრატი-სენატორი იყო წინააღმდეგი ხელშეკრულობის დამტკიცებისა, რომელთაც განაცხადეს, რომ წინააღმდეგნი ვართ იმისა, რომ შეერთებული შტატები თავისის სამფლობელოს გაფართოების პოლიტიკას დაადგესო. სენატმა საზოგადოდ დიდძალი ხმის უმრავლესობით მოიწონა ხელშეკრულება.

**მოსკოვი.** სასოფლო სამეურნეო განათლების შესახებ მომხდარმა კრებამ სასურველად სცნო დაარსდეს სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი იმ ქალთათვის, რომელთაც საშუალო სასწავლებელი ექმნებათ დამთავრებული.

**ლონდონი.** მოუნტ-ალისდგან, რომელიც პოტგიტერსდრიფტს დაჰყურებს, 3 იანვარს იუწყებიან, რომ ლედი-სმიტის განთავისუფლებლად ჯარი დაიძრა ფრერისა და ჩიველეიდგან ოთხშაბათსო. ფრერიდგან მოყოლებული რამდენიმე მილი ჯარმა მინდვრად გაიარა, როცა ბურები სროლაში ვარჯიშობდნენ.

მზვერავების მიერ ამბის მოტანის შემდეგ, რომ სპრინგფილდი მტერს არ დაუჭერიაო, ეს ადგილი ბრიტანიის ჯარებმა დაიჭირეს. ახალშინის ჯარების ერთი ნაწილი მდინარის გაღმა გავიდა, თუმცა მტერი თოფ-ზარბაზნებს ესროდა. მტერმა სისწრაფით დასცალა ბანაკი, რომელიც სერებზედ იყო, ატლასის მთების პირდაპირ გენერალმა ბულლერმა თავისი მთავარი ბინა გადაიტანა ბურის მარტინუს პრეტორიუსის ფერმაში, რომლის პატრონი დაიმალა. პარასკევს აფეთქების ხმა მოისმა. ეხლა გამოირკვა, რომ მტერს დაენგრია ხიდი, რომელსაც ინგლისელები აკეთებდნენ შვიდი მილის სიშორეზედ პოტგიტერსდრიფტის ზემოთ.

ბულლერმა ბრძანება გამოსცა, რომელიც ასე იწყება: „ჩვენ მივდივართ ჩვენის ამხანაგების გამოსახსნელად, რომელნიც ლედი-სმიტში იმყოფებიან. უკან დახევა არ შეიძლება, ამასთანავე გაფთხილებთ, — თეთრი ბაირაღი არ ჩასთვალოთ მტრისადმი დამორჩილების ნიშნათ“.

**პეტერბურგი.** 7 იანვარი, საერო განათლების მინისტრის თავმჯდომარეობით, მუშაობას შეუდგა ის კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს საშუალო სკოლებში ცვლილებათა შემოღების შესახებ პროექტი შეიმუშაოს.

**პარიჟი.** სადამოჟმო დეპარტამენტის ოფიციალურ ცნობებით, 1899 წელს 4.217.150,000 ფრ. საქონელი შემოვიდა, წინა წელში იყო 4.472.552,000 ფრანკისა. გატანილ იქმნა 3.899.142,000 ფრანკისა, წინა წელში გაიტანეს 3.510.900,000 ფრანკისა.

**კაპშტადი.** სარწმუნო წყაროებიდგან მოსულ ცნობებით, ბურებს დაუქცევიათ რკინის გზის ხიდები და წყლის მილები შტეინსბურგსა და კრინგოოტეს შუა. გაფუჭებულია აგრეთვე რამდენსამე ადგილს წყლის მილები და რკინის გზის ლიანდაგი სტორმბერგს იქით.

**ვენა.** „Neue freie Presse“-ს ატყობინებენ კრაკოვიდგან, რომ იქაურის ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტის ექიმი კასტანეცკი გარდაიცვალა და შავის ჭირის ნიშნები გამოაჩნდაო. კრაკოვში გაგზავნილ იქმნენ ვენიდგან და ლვოვიდგან ექიმები ბაქტერიოლოგიურად გამოსაკვლევად. ვენაში გაგზავნილმა ნერწყვმა საანალიზოდ სულ წინააღმდეგი აჩვენა.

**ლონდონი.** ოფიციალურად იუწყებიან, რომ მომავალს კვირაში სამხრეთ აფრიკაში გაგზავნილ იქმნება არტილერიის გასაძლიერებლად: 72 ზარბაზანი, 3,710 კაცი და 2,210 ცხენი.

გავრცელებულმა ხმამ, რომ მტრის სრულიად დამარცხების შემდეგ, ლედი-სმიტი განთავისუფლებულ იქმნაო, სამხედრო სამინისტრომდისაც მიაღწია. სამინისტროში დიდი იმედი აქვთ, მაგრამ ჰფიქრობენ, რომ ეს ამბავი ნაადრევიაო; ლედი-სმიტის განთავისუფლებამდის დიდი ომი უნდა მომხდარიყოვო.

8 იანვარი

**პეტერბურგი,** დიდის მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულის ჯანმრთელობის მდგომარეობა: „წარსულ დღე ღამეს დიდი მთავრინა თავს კარგადა ჰგრძნობდა. სითბო ტანისა დილით ჰქონდა 36,5, მაჯის ცემა 68; საღამოს — 36,8, მაჯის ცემა 82 ლონეზედ მოდის. ახლად დაბადებული მთავარი ნიკიტა სრულიად კმა საყოფელად არის.

**რენსბურგი.** რეიტერის სააგენტოს მიღებულ ცნობებიდგან სჩანს, რომ 31 დეკემბერს ბურების ბანაკში სროლის დროს ინგლისელებს 16 ბური მოუკლავთ და 63 ცხენი. მტერს კვლავ დაჭერილი აქვს მცირე სიმაგრე სლიუგერსფონტეის ჩრდილოეთით.

**ბერლინი.** მოლლერმა დასაბუთა ყველა დასის 300 წევრთა მიერ შეტანილი შეკითხვა ინგლისის მიერ გერმანიის გემების დაჭერის შესახებ. ამ წევრთა შორის, როგორც ვუწყით, არ ურევიან სოციალისტები, ელსასელები და დანიელები. მოლლერმა აღნიშნა ინგლისის გემების უფროსთა და ინგლისის ნავთსადგურის მთავრობის საქციელი, სთქვა, რომ გერმანია ამ საქმით დიდად აღშფოთებულიაო, გაახსენა იქ მყოფთ წინა უკმაობა ინგლისის აწინდელს მოქმედებას და ამერიკის საერთაშორისო ბრძოლის დროს მოქმედებას შორის და ასე დაამთავრა: „ინგლისი თავისის საქციელით ნუ იწვევს სიძულილს ყველა ეროვნებისასაო“. სტატს-სეკრეტარმა ბიულოვმა სთქვა, რომ იმ აღელვებისა გამო, რომელიც უკვე გავრცელებულია საზოგადოებაში, მზადა ვარ პასუხი ვუგო ამ შეკითხვასაო. მინისტრმა აღნიშნა გამოურკვევლობა და ნაკლნი საზღვაო კანონდებულებისა, რომლის შემუშავებასაც აქამდე და უკანასკნელად გააგის კონფერენციაზედაც ამაოდა სცდილობდნენ საერთა შორისო წეს-რიგითაო. გერმანია სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას ამ კანონთა ასე საერთაშორისო წესით შემუშავების საქმეში. მინისტრმა წაიკითხა ექვსი მუხლი, რომელშიაც მოთავსებულია გერმანიის მიერ საჭიროდ დანახული დედა აზრი. ამის კვალობაზედ გერმანიას ინგლისის მოქმედება სამართლიანად არ მიაჩნიაო. გერმანია თხოულობს, რომ კანონიერი ვაჭრობა პატივცემულ იყოს და თუ გემის დაჭერა იქმნა საჭირო, იგი დაჭერილ იქმნას იმ წესთამებრ, რომელთა დაცვა სავალდებულოა მეგობარ სახელმწიფოთა და კულტურულ ერთა შორის დამოკიდებულების დროს (მოწონების ხმა გაისმის). გემების დაჭერისათანავე მთავრობამ ლონდონში განაცხადა თავისი უკმაყოფილება და ჯილდო მოითხოვაო, განაგრძო მინისტრმა. ინგლისმა გამოგვიცხადა, რომ მზად ვარ დავაკმაყოფილო ყოველი კანონიერი მოთხოვნილებაო. გემის უფროსებს მიეწერათ, რომ არ დაიჭირონ ხოლმე გერმანიის საფოსტო გემები მარტოდენ ეჭვის მიტანის გამოო. (მოწონების ხმა გაისმის). ადენის ჩრდილოეთით იმ დარიგების თანახმად, რომელიც გემის უფროსებს გაეგზავნათ გერმანიის წინადადებით, არავითარი გემი არ უნდა იქმნას დაჭერილი საზოგადოდ. დასასრულ ინგლისმა თავის მწუხარება განგვიცხადა აწ მომხდარ ამბის გამო და დაგვეთანხმა, რომ სამედიატორო სასამართლოს მივმართოთ, თუ ეს საჭირო იქმნა ჯილდოს გამოსარკვევადაო, თუმცა იმედიაო, სთქვა, საქმე აქამდე არ მიაღწევსო. ბოლოს ბიულოვმა სთქვა: იმედია, რომ ასეთი ამბავი აღარ განმეორდება და გერმანიის მთავრობას მით უფრო არა ჰსურს მისი განმეორება, რომ იგი ინგლისთან მეგობრულ დამოკიდებულების დაცვას არის მოწადინებულიო. ოცდა ათის წლის განმავლობაში მშვიდობიანად მოქმედებით გერმანიამ მოიპოვა უფლება იმისი, რომ ყველგანა პატივისცემით ეპყრობოდნენო (მოწონების ხმა ისმის). ყველა დასნი ამ საქმეს ერთსულად მოეკიდნენ და ეს ამტკიცებს, რომ გერმანიის უფლებათა დაცვის საგნებში დასთა და მთავრობის შორის არავითარი აზრთა სხვა და სხვაობა არა არსებობს. ამის შემდეგ რამდენიმე სიტყვა წარმოსთქვა საიმპერიო ფოსტის უწყების სტატს-სეკრეტარმა სამხრეთ აფრიკაში საფოსტო კორესპონდენციის უზრუნველ ყოფის შესახებ, შემდეგ წინადადება იქმნა შეტანილი, რომ განხილულ იქმნა შეკითხვაო. ეს წინადადება არ იქმნა შეწყნარებული დიდის ხმის უმრავლესობით.

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. — 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე“**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია:** დიდი ჰქვა — 2 მან; პატარა — 1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში — ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაეგზავნებათ. (100—150—63)

Дозволено цензурою, Тифлисъ 8 Января 1900 г.

სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობის

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე